საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №123/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

მოსარჩელის -- -- წარმომადგენლის -- -- 2019 წლის 11 ივლისის №123 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 სექტემბრის №123/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე. მხარეთა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად საქმის განხილვა 3 წელია მიმდინარეობს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 22 ივნისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა -- -- (წარმომადგენელი -- --) მოპასუხის საქართველოს მთავრობის მიმართ და მოითხოვა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ზიანის ანაზღაურება.

-- -- სასამართლოს 2016 წლის 24 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელე -- -- სასარჩელო განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩართული იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინებით მოპასუხე საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის, -- -- შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2017 წლის 13 ივნისს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეში №--, მესამე პირად ჩაბმულ იქნა ა(ა)იპ „-- --“.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 მარტის განჩინებით მოსარჩელე -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მიღებულ იქნა დროებითი განჩინება; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე -- -- პირადი ასისტენტის მომსახურების გაგრძელების უზრუნველყოფა დღის ცენტრ ა(ა)იპ „-- --“ მიერ.

2.2. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 მარტის დროებითი განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივლისის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივლისის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საქმე -- -- სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 26 ივლისს.

2.3. 2019 წლის 22 თებერვალს, -- -- წარმომადგენელმა -- -- დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს მთავრობის, მესამე პირების - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ა(ა)იპ „-- --“ მიმართ და მოითხოვა საქართველოს მთავრობის მხრიდან ირიბი დისკრიმინაციის (ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული) ფაქტების დადგენა, კერძოდ: „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 30 მარტის №--, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 26 თებერვლის №--, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 9 მარტის №--, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 29 დეკემბრის №-- და „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 31 დეკემბრის №-- დადგენილების მიღება, რის გამოც -- -- მიმართ განხორციელდა ირიბი დისკრიმინაცია; მოპასუხე საქართველოს მთავრობას, -- -- მიმართ განხორციელებული, ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის აღმოფხვრის მიზნით „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №-- დადგენილების 1.5 დანართით განსაზღვრული „დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში“ ცვლილების შეტანის დავალება იმგვარად, რომ პროგრამა უზრუნველყოფდეს -- -- და მსგავსი დიაგნოზის მქონე ბავშვებისათვის პერსონალური ასისტენტის მომსახურებას; მოპასუხე საქართველოს მთავრობას, მოსარჩელე -- -- შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე დისკრიმინაციის საფუძველზე, ჯანმრთელობის, განათლების, თავისუფალი განვითარების, თანასწორობის, დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებების შელახვის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით -- ლარის ოდენობით დაკისრება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) დაზუსტებული სასარჩელო განცხადება მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილი იქნა დასაშვებად.

2.4. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- განსახილველად ჰქონდა:

- 2017 წელს ადმინისტრაციული სამართლის 350 საქმე, საიდანაც განიხილა 152 საქმე. ნაშთის სახით განსახილველად დარჩა 195 საქმე (3 საქმე განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს);
- 2018 წელს განსახილველად ჰქონდა ადმინისტრაციული სამართლის 457 საქმე, საიდანაც განიხილა 316 საქმე. ამასთან, მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა და განიხილა 60 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 სექტემბრის დასკვნა:

მოსარჩელის -- -- წარმომადგენლის -- -- 2019 წლის 11 ივლისის №123 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.[2]

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

დადგენილია, რომ საქმე -- -- სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა 1 წელი, 6 თვე და 28 დღე - დაზუსტებული სარჩელის წარდგენამდე, ხოლო დაზუსტებული სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 6 თვე და 7 დღე. აღნიშნულ პერიოდში მოსამართლე -- -- საქმე განსახილველად ჰქონდა 11 თვე და 19 დღე, ხოლო მოსამართლე -- -- 8 თვე და 9 დღე. მოსამართლე -- -- ჩაატარა 4 მთავარი სხდომა (2017 წლის 2 ნოემბერს, 2018 წლის 5 აპრილს, 2018 წლის 12 დეკემბერსა და 2019 წლის 23 მაისსა). სასამართლოს სხდომებს შორის შუალედი მერყეობდა 5 თვიდან 8 თვემდე. აღნიშნულ სხდომებზე მოსამართლემ განიხილა მხარეთა შუამდგომლობები, საქმეში ჩააბა მესამე პირი, მიიღო დროებითი განჩინება და დაზუსტებული სარჩელი წარმოებაში.

დისციპლინურ გადაცდომაზე მსჯელობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად მოსამართლის მიმართ, შესაბამისად, იმის დასადგენად არასაპატიო მიზეზით არსებითად დაარღვია თუ არა მოსამართლემ

[1] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადა, აუცილებელია გავითვალისწინოთ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი საქმის განხილვის გონივრულობის შეფასების კრიტერიუმები.

ამდენად, მოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ ქმნის საკმარის მტკიცებულებით საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- მიერ ადგილი ჰქონდა დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენის ფაქტს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №123/19 შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი